ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორიათასთორმეტი წლის ოცდაოთხ ოქტომბერს მე, მაია ბრეგვაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. №1, მომმართა **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა»** -ს (რეგისტრირებულია 11.03.2008 საიდენტიფიკაციო ნომერი №202442981) დირექტორმა **ირაკლი დვალი** (დაბ.04.05.1964 ბათუმი, მცხ. ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქუჩა №14, ბინა 58, პირადი №01008031561), მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილიბას:

მინდობილობა

მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა“**-ს (რეგისტრირებულია 11.03.2008 საიდენტიფიკაციო ნომერი №202442981) დირექტორი **ირაკლი დვალი** (დაბ.04.05.1964 ბათუმი, მცხ. ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქუჩა №14, ბინა 58, პირადი №01008031561) ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ **დავით ლოსაბერიძეს** (დაბ.14.03.1967 თბილისი, პირადი №01005006844) იყოს საზოგადოების წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, აწარმოოს საზოგადოების სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განაცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი, როგორც დირექტორის სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე ქალაქ თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №18/20 (ნაკვეთი 15/88) (ს/კ 01.13.01.015.088) საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა“-ს
დირექტორი ირაკლი დვალი

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31499622038412

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121157883

რეგისტრაციის თარიღი

24.10.2012 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**